

## კალვინისტური ეკლესია

კალვინიზმი არის პროტესტანტობის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც დაარსა ფრანგმა თეოლოგმა ჟან კალვინმა. ეს მიმდინარეობა წარმოიშვა 1530-ან წლებში, ქ. ჟენევაში.

კალვინისტთა 35 მლნ. მიმდევრები შვეიცარიაში, ჰოლანდიაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიაში და სამხრეთ კორეაში ცხოვრობენ.

თუ კი მართინ ლუთერმა მე 16-ე ს. პროტესტანტული რეფორმაცია დაიწყო იმით, რომ ეკლესიაში უნდა გაუქმებულიყო ყოველი, რაც ეწინააღმდეგებოდა ბიბლიას, ჟან კალვინი უფრო შორს წავიდა - მან ეკლესიაში გააუქმა ის, რის აკრძალვასაც ბიბლია არ ითხოვდა. ის ნათლობაში და ზიარებაში მხოლოდ სიმბოლურ შინაარს დებდა.

კალვინიზმის ცენტრალური დოქტრინაა -- ღმერთის უზენაესი ძალაუფლება ყველაფერში.

კალვინი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო ვალდებულია არა მარტო ითანამშრომლოს ეკლესიასთან საზოგადოების მართვის პროცესში, არამედ იგი (სახელმწიფო) უნდა დაემორჩილოს ეკლესიის დადგენილებებს და ამით აღასრულოს ღვთის სამართალი. კალვინიზმი ცდილობდა დაემყარებინა თეოკრატიული რეჟიმი სახელმწიფოში, რამაც გამოიწვია სხვა კონფესიების პროტესტი.

კალვინიზმის რამდენიმე მიმართულება არსებობს, მათ შორის ყველაზე მეტი მიმდევარი პრესვიტერიანულ და რეფორმისტურ ეკლესიას ჰყავს.

კალვინისტური ეკლესია საქართველოში წარმოდგენილია „წმინდა სამების“ პროტესტანტული ეკლესიით სახით. კალვინისტური საქართველოში დაარსდა 1995წ. ოქტომბერში, ბათუმში. ამ ეკლესიის დაქვემდებარე თემები იკრიბებიან ფოთში, ქობულეთში, ოზურგეთში,

ლანჩხუთში. მათი მოძღვრება შეესაბამება რეფორმაციის ღვთისმეტყველებას.

საქართველოში ისინი დარეგისტრირებულნი არიან როგორც საქველმოქმედო ცენტრი „თანადგომა“. „წმინდა სამების“ ეკლესიის მიერ განხორციელებულია მრავალი ჰუმანიტარული აქცია. თანამშრომლობს სხვადასხვა ქრისტიანულ ეკლესიასთან, ებრაელურ თემის წარმომადგენლებთან. არ გამოსცემენ არავითარ გაზეთ-ჟურნალებს.